

1947

№ 21. 1947 წ.
გამოცემის წელი XXV.
ფასი 2 მან.

სიანში

თბილისი.
გამოცემლობა
„კომუნისტი“.

საბჭოთავო
ბიზნისოთქა

10/41
193



გამარჯვებათა ზეიმის მეოცდაათე პარადი
მოლის სტალინის დროშებით—ვით სიხარული მარადი.

კომპოზიცია გ. თომავაძისა
ბელადის სამადლობელი მალღება, ცამდე იზრდება,
კიდითკიდემდე გაისმის დიდი ოქტომბრის დღემა.



საქართველოს
ხალხური ბიბლიოთეკა



ენის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი

ა.

აბანო—უდაბნო, სადაც წყალს გარდა, ქვიშაც არ მოიპოვება.

ამერიკა (შეერთებული შტატები)—თვითნებური დიოკორი.

ამუნია—ბავშვების დასაშინებელი საფრთხობელა.

ატომი—იხილე ამუნია.

ბ.

ბრიტანეთი—ამერიკის მე-49 შტატი „მარშალის გემით“.

ბედოვლათი—„ბე“ უქონელს ნიშნავს, ე. ი. დოვლათის უქონელი.

ბევინი—„ვინი“ ინგლისურად პატიოსნებას ნიშნავს. (იხ. ბედოვლათი).

გ.


გირი—პურის გამყიდველის თითების მოწინააღმდეგე სიმძიმე.

გოლი—მაყურებელთა აღტაცება სტადიონზე.

გოლი (დე)—საეჭვო „ფეხბურთის“ ფრანგი მოთამაშე.

ომის მატლი

(ჩაჩჩილის განმარტების დამატება)



ჩ(ე)ჩილი, რომელიც ძალიან იწელება, მაგრამ მისი საწინააღმდეგო „ნაფტალინი“ საკმაოდ მოიპოვება.

დ.

დუტრა—იხ. პერონი.

დინამო (თბილისის) — მე-3 ადგილი მუდმივდინამოების შეჯიბრში.

დენიკინი—იხ. ვრანგელი.

ე.

ევატი—იხ. ეკვილიბრისტი.

ეკვილიბრისტი—იხ. ევატი.

ვ.

ვრანგელი—იხ. იუდენიჩი.

ზ.

ზარი—(შიშის) — გრძობა, რომელიც ებადებათ უცხოელ რეაქციონერებს საბჭოთა არმიის ხსენების დროს.

ზებრა—ცხოველი, რომელიც ფერით ბევრ უცხოელ დიპლომატს ჰგავს.

ზარბაზანი—(ქვემეხი) — ამერიკული „საწვრიმალო“.

თ.

თეირანის კონფერენცია—იხ. იალტის კონფერენცია.

თეატრი—(კომედიის) — საბერძნეთის საკითხზე უშიშროების საბჭოს მიერ გამოყოფილი კომისიის მუშაობა.

ი.

იალტის კონფერენცია—იხ. პოტსდამის კონფერენცია.

იუდენიჩი—იხ. კოლჩაკი.

კ.

კოლჩაკი—უცხოელ ინტერვენტთა დამქაში, რომელმაც გაცილებით ადრე გაიცნო საბჭოთა არმია, ვიდრე გერმანელიაპონელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა.

ლ.

ლიტონი სიტყვა—ომის გამწაღებელთა „მტკიცება“ საბჭოთა კავშირის მიერ მოსალოდნელი აკრესიის შესახებ.

მ.

მარშალი—სამხედრო უწყებაში წოდებაა. ამერიკაში გვარია. (იხ. „ბევინი“).

ნ.

ნიახური—„სამკურნალო“ მცენარე, რომლის ძალა შესანიშნავად იგემეს ფაშისტმა ინტერვენტებმა.

ო.

ომი—კაპიტალისტთა გამდიდრების საშუალება.

პ.

პარიზის თათბირი—(„მარშალის გეგმის“ გარშემო) გამოაშკარავებული აფიორა.

პერონი—იხ. სალაზარი.

პოტსდამის კონფერენცია—კონფერენცია, რომელზეც სსრ კავშირთან პირობა დასდო ინგლისმა და ამერიკამ მომავალი მსოფლიოს კეთილმოწყობის შესახებ, მაგრამ ეს დაპირება „კეთილადვე“ დაივიწყა.

რ.

რომმელი—პიტლერელი გენერალი, რომელმაც გაქცევის მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ს.

სალაზარი — იხ. ფრანკო.

სესხი — (ამერიკული) — ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ხელში ჩაგდება.

ტ.

ტრამვაი — სასპორტო დარბაზი.

უ.

უსაქმურობა — ზოგიერთი რეაქციონერის მიერ წამოწყებული კამპანია „ნსოფლიო მთავრობის“ შექმნის შესახებ.

ფ.

ფრანკო — (გენერალი) ფაშისტი ქოფაკი.

ქ.

ქრთამი — რეაქციონერ ჟურნალისტთა ხელფასი.

ღ.

ღორი — იხ. ჰიტლერი.

ყ.

ყავარჯენი — მცირე სახელმწიფოების რეაქციული მთავრობები ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

შ.

შარი — „საბერძნეთის საკითხის“ კომისიის დასკვნა საბერძნეთის საქმეებში იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის ჩარევის შესახებ.

შაბლონი — ფილარმონიის აფიშა.

ჩ.

ჩაწოლა — კაპიტალისტური ბაზრის ძველი და მომავალი ავადმყოფობა.

ჩერჩილი — ორფეხი ჩრჩილი — მშვიდობიანობის მღრღნელი.

ც.

ცილისწამება — ანტისაბჭოთა კამპანია.

ძ.

ძაბრი — ლვინიან კასრში წყლის ჩასასხმელი ხელსაწყო.

ძროხა — ზოგიერთი ტრესტის ქონება, ზოგიერთი ვიგინდარასათვის საწველი.

წ.

წამება — საბერძნეთის რეაქციული მთავრობის „დემოკრატიული“ ხერხი.


ჭ.

ჭანჭური — სასარგებლო ხილია. (განმარტებას ვიძლევით მხოლოდ „ხილობსტნის“ მალაზიებისათვის).

ჭორი — იხ. ცილისწამება.

ხ.

ხერსტი — ამერიკაში ქორების გუდას ნიშნავს.



— ეს ძალიან მცირე თ.ნხაა, თქვენი დავალებით საბჭოთა ატომგრალების რაოდენობა ორჯერ გავზარდვ წერილში, ჰონორარი კი ერთმაგი გამოვიწერათ!

ჯ.

ჯამბაზი — გაქნილი პოლიტიკოსი.

ჯონსონი — იხ. ჯამბაზი.

ჰ.


ჰიტლერი — იხ. ღორი.

ენციკლოპედიური ლექსიკონი შეადგანა გიამმ.

ილუსტრაცია ი. ბაჟაუვილიისა

გურითადი საუბარი

(ღორის განმარტების დამატება)



— ძალზე გულნატკენი ვარ, ჩემო დაია, ეს ადამიანები, გარდა იმისა, რომ გვკლავენ და ჩვენს ხორცს შეეპყვიან, ათას ოხერს გვადარებენ!

1. ბეინმა ბე მიიღო და ბრიტანეთის გაუიღვას მაინც უარყოფდა.
2. მიტომ მიუვარსარ თათარო,—შენი ქონება დაუთვალა.
3. ასოცი წლის ბების ოცდაათი წლის ჭახუკს ეძუქრებოდა.
4. კომინდანელს ფაკირობას უქებდნენ და ცეცხლს აუღანებდნენ.
5. ერთი მართალი სერსტსაც წამოსცდებო.
6. ირანელი ფლავს ხარშავდა და ამერიკელი კოვსს ამსადებდა.
7. ჩან-ძუნ-სენის ფარჩასო სამუელი სევდა.
8. ბერძენს ჯიბეს აჭრიდნენ და ხალათს გოგერავნო.
9. ჩერჩილის სტვირიო და ბეინის ცეკვა.
10. ჰარტიხანით დაძინებული ბერძენი მესობელს უეფდა.



შეკრიბა—იამომ

— ამბობენ, ბირფაზე ფასების თამაშიაო,—ახლა რომელ მთავრობას ვიდულობთ, მისტერ ჯონ?
— თურქეთისა და საბერძნეთის შემდეგ დე-გოლი ვიყიდეთ, გუშინ ირანის მთავრობა ვიყიდეთ, ერთის სიტყვით, რიგის მიხედვით ვიდულობთ, ჩემო კარგო!

რამოდენიმე ათასი მანეთის ობლიგაცია მაქვს, რომლებსაც მეორე გვერდზე აწერია: ჩემი, მეუღლის და შვილის სახელი. ეს ნიშნავს: ვისი ობლიგაციაც მოიგებს, მოგებული თანხაც მას უნდა ეკუთვნოდეს. (თავიდანვე ასეთი პირობა დავდეთ).

წლების განმავლობაში რამოდენიმეჯერ გამოქვეყნდა მოგებულ ობლიგაციათა ცხრილი, მაგრამ ჩემი ობლიგაცია ვერ იგებდა.

— ჩემმა მოიგო და რა ვქნა,—მეტყვოდა მეუღლე და წარწერიან ობლიგაციას მაჩვენებდა.

ასეთი ფაქტი მრავალჯერ განმეორდა. ხან მეუღლე იგებდა, ხან ვაჟიშვილი. რა თქმა უნდა, მიხაროდა, მაგრამ მაინც გული მწყდებოდა, რომ არასდროს მოგება არ შემხვდა.

— ეს რამდენი რამ გიყიდიათ,—ჩავილაპარაკე ერთ დღეს, როცა სახლში მივედი.

— ნუგზარის ობლიგაციამ მოიგო.—მიბასუხა მეუღლემ. ექვი მაწუხებდა:

— რალა ყოველთვის იმათი ობლიგაცია იგებს და ჩემი კი არა, ნუთუ ერთხელ მაინც არ უნდა მოიგო,—ვფიქრობდი გულში და მეუღლის ბალანსი ობლიგაციების შესახებ თანდათან უფრო მაეჭვებდა.

ოქტომბრის ზეიმი ახლოვდებოდა.

— შეიდ ნოემბერს შენთან ვართ...

— თამადათ მე უნდა ამირჩიოთ...

— დაპატიებებისათვის გმადლობთ, მაგრამ სოფელში მივდივარ,—მეუბნებინა მეგობრები.

ობლიგაცია

— კი მაგრამ, მე არაფერი მიტქვამს და ვინ დავპატიეთ?

— შენმა მეუღლემ!

ვერ მივმხვდარიყავი რაში იყო საქმე.

ერთ საღამოს სახლში მეუღლეს მივუბრუნდი:

— ქალო, ამდენ ხალხს რომ პატიეებ, მე რატომ არაფერს მეკითხები?

— რა უნდა გკითხო?

— ამდენი სტუმრები სად გინდა დაატიო?

— მოთავსდებიან.—მითხრა მან და გატრი-
აღდა.

ექვს ნოემბერს სახეიმო ოჯახური ფუს-
ფუსი დავამთავრეთ, ხოლო შვიდში—ადრე
დილით, დემონსტრაციაზე გავეშურე.

უკვე სადილობა გადასული იყო, როცა
სახლში დავბრუნდი. კარები შევალე თუ არა,
ყველამ ერთხმად მომამახა:

— სადა ხარ, კაცო, მოგვკალი შიმშილით
და ესაა!..

ვხედავ: შესანიშნავად გაწყობილ სუფრას
უსხედან ჩემი უახლოესი მეგობრები. რიცხვით
ოცდაათი, არც მეტი, არც ნაკლები.

პირველი სიტყვა მეუღლემ გემგის გარეშე
აიღო:

— მეგობრებო!.. დღეს ჩვენთან ორმაგი
ზეიმია.—ოქტომბრისა და ჩემი მეუღლის...

— რაშია საქმე?

— რა ორმაგ ზეიმზეა ლაპარაკი?—ისმო-
და ხმები.

— დიახ, ორმაგი,—განაგრძო მეუღლემ,—
დღეს, ამ სახლში, ოცდაათი უახლოესი მეგო-
ბარი ვზეიმობთ ოქტომბრის რევოლუციისა და
ჩემი ქმრის, კაკოს, ოცდაათი წლის შესრუ-
ლების თავს. დღეს არ შემიძლია ერთი რამ
არა ვსთქვა, ჩემო მეუღლე, შენი ობლიგა-
ციებიც ხშირად იგებდა, მაგრამ მასზე დაწე-
რილ შენს სახელს ვშლიდი და ჩემსას ვაწე-
რიდი...

— ა!—მეტად გამაოცა ამ ამბავმა.


— მაგრამ ოჯახზე მარტო შენ როდი ზრუ-
ნავ. იმ თანხით, შენს მეგობრებთან ერთად,
უპირველეს ყოვლისა, მინდა მოვილოცო ოქ-
ტომბრისა და შენი ოცდაათი წლის შესრუ-
ლების თარიღი. ნება მიბოძე მოგართვა ეს
საჩუქრები,—მსახიობურად წარმოსთქვა რა ეს
უკანასკნელი სიტყვები, სკვირიდან ქალაღ-
ში შეხვეული ბოხჩა ამოიღო და გახსნა...

— კოსტუმი, პერანგი, ხელთათმანი, მაჯის
საათი,—ვიძახდი აღტაცებული და საჩუქრებს
ხელში ვატრიალებდი.

კოსტად გამოწყობილი ნუგზარი ყელმო-
ღერებით იღვა და მეგობრებთან ერთად ისიც
ილიმებოდა.

ოცდაათნაირი სიმღერის ხმა დილაამდე არ
შეწყვეტილა...

ამერიკის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ლუკმანი ხელმძღვანელობს კამპანიას, რომელიც იქითკენ არის მიმართული, რომ დაარწმუნოს ამერიკელი ნაკლები სურსათის მოხმარებაში.



როინელმა თავისს მოხსენებას ჯერ პატარა შესავალი წაუძღვა: „ოქტომბრის დიადი რევოლუციის უდიდესი მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიის შემდგომ მანძილზე“. ეს თეზისი მან საკმაოდ ნათლად გააშუქა და შემდეგ თვით ოქტომბრის რევოლუციის მომხადებისა და განვითარების ისტორია გააცნო მსმენელებს.

ყურადღებით უსმენდნენ. მოხსენების კეთილშობილ თემას თვით როინელის მკვერმეტყველებაც მატებდა ამაღლებებელ ძალას. მაგრამ საერთოდ რომ ითქვას, მისი მოხსენება მაინც ზოგად დებულებებში იყო ჩამოყალიბებული და ერთგვარად კონკრეტულობა აკლდა.

ალბათ ამიტომ იყო, რომ მოხსენების დამთავრებისთანავე დარბაზში შეკითხვა გაისმა:

- შეიძლება მომხსენებელს ერთი შეკითხვა მივცე?
- ბრძანეთ, რატომაც არა, — მიუგო თვით როინელმა და ყურადღება მძიმართა შეკითხველისაკენ.

— თქვენ რამოდენიმეჯერ აღნიშნეთ: „ოქტომბრის რევოლუციამ არსებითი შესწორებები შეიტანა ცხოვრებაში“. ხომ არ შეიძლებოდა ამ შესწორებების შესახებ გეთქვათ რამოდენიმე სიტყვა? პატარა პაუზამ დაადასტურა, რომ მთელი დარბაზი დაეთანხმა შეკითხვის მიმცემს. ამიტომ როინელმა სათვალეები გაისწორა და დაიწყო:

— ეს, ასე ვსთქვათ, ფიგურალური გამოთქმაა. ოქტომბრის რევოლუციამ დიანაც რომ არსებითი ცვლილებები შეიტანა ცხოვრებაში. მაგალითად: როცა ესერებმა და მენშევიკებმა დროებითი მთავრობის სავარძლები იშოვეს და მშრომელ ხალხს ისევ მემამულეებისა და კაპიტალისტების უღელში კისრის გაყოფა შესთავაზეს, ოქტომბრის რევოლუციამ ისინი კისრისტებით გადაისროლა იმავე სანაგვეში, სადაც მათზე ცოტათი ადრე მეფე და მისი ბიუროკრატია გადაიყარა.

ჩვენ რომ სოციალისტური სახელმწიფოს საფუძვლების შენება დაიწყეთ—მსოფლიო რეაქცია გამძვინვარდა. გარედან—ინტერვენცია მოგვიწყეს, შიგნით—სამოქალაქო ომი. კაპიტალისტები, თავისი ჩერჩილ-პუანკარეებით ფიქრობდნენ სისხლში ამოვეხრჩვეთ, ოქტომბრის ნანგრევებზე ისევ მეფის ტახტი აღემართათ.

ჩვენ, (ესე იგი ოქტომბრის რევოლუციის ქვეყანამ) არსებითი ცვლილება შევიტანეთ მათს გეგმაში: მათი საინტერვენციო ჯარებიც და, მათთან ყოველგვარი თეთრი, თუ შავი არმიებიც—თავისი დენიკინ-ვრანგელებითაც და სხვა არაშაადებითურთ — ჯანდაბის უფსკრულში გადვუძახეთ და სოციალიზმის შენებას შევეუდგეთ. ისტორია მხარში ამოგვიდგა და მათსავე გზას გაუყენა ყოველგვარი მენშევიზმ-დაშნაკიზმ-მუსავატიზმი. გაერთიანდა დიდი საბჭოთა ქვეყანა, ოქტომბრის რევოლუციის უძლეველი ქვეყანა.

დაიწყო აღორძინების დიადი ეპოქა. ჩვენში მანამდე სიბნელე რომ სუფევდა, მეურნეობა ჩამორჩენილი რომ იყო, ნაყოფიერი ხოლადუნები უქმად რომ სთვლემდა, კოლხეთის კაობები ხაშმს რომ უშვებდა, ოქტომბრის მზით გამოზრდილმა თაობამ ყველაფერში არსებითი ცვლილება შეიტანა: მდინარეები ცემენტის ჯავშანში ჩასვა და ელექტრონი გააჩაღებინა, ყამირებს—ტრაქტორები და სარწყავი არხები მიუსია, კაობებს—ექსკავატორები და საქართველო აყვავებულ, მზიან ბაღნარად, მოსავლის დედად, აღორძინებული ინდუსტრიის ქვეყნად გადააქცია.

ოქტომბრის დიადი ქვეყანა, საბჭოთა კავშირი—თავისი ბედნიერების პატრონი რომ გახდა—კაპიტალისტური მსოფლიო შურმა და შიშმა ააწრიალა: თავისი ფაშიზმით, თავისი პირსისხლიანი იტლერ-მუსოლინებით, იარაღით შემოგვეჭრა დიდ ოჯახში. ერთი დაკრა—და დავამხობთ საბჭოთა კავშირს, ამოვფესვათ ოქტომბრის ძეღვეებსო,—ტრახახობდნენ.

ჩვენ კვლავ არსებითი შესწორება შევიტანეთ მათს გადაწყვეტილებაში: ფაშიზმი დავამიწეთ, პიტლერ-მუსოლინ-ხიროხიტოები ტვრადა და ფერფლად ვაქციეთ. ოქტომბრის ქვეყანა კვლავ მეტის დიდებით შევმოსეთ და აღმადგენელ მშენებლობას დავეუბრუნდით.

ეს, ცოტა არ იყოს, მაინცა და მაინც არ ექაშნიკათ, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს მტრობაში დაბეზრებულ ძველ ოთაქს—ჩერჩილს და უოლ-სტრეიტის ვეშაბებს. ისინი დაშინების,



ლუკმანი პირიდან ლუკმას 'კაცლის ამერიკელს, რომ ამით უკეთესი ლუკმა იშოვოს.

ზურგიდან მოპარვის, შანტაჟის, ახალი ომის ხლართების ქსოვას შეუდგნენ. აქეთ ალია-ოსმანებით, იქით კაროპულო-ცხვირობულოებით საფრთხობელები მოაწყეს, იფიქრეს—„ბუას“ ვეტყვიო და გულს გაუფხეთქაუთო.

თუ რა არსებითი ცვლილება შევიტანეთ მათს გეგმებში—ეს თქვენ უკვე კარგად იცით, რადგან ამხანაგ ვიშინსკის გამოსვლებზე ყველა თქვენგანის მსჯელობის მოწმე დღესაც ვიყავი. თუ რა არსებით ცვლილებებს შევიტანთ მათს მომავალ ზრახვებში—ესეც მოგეხსენებათ, რადგან ყველა თქვენგანის იმედითა და რწმენით აღსავსე თვალი და გული მიპყრობილია ხალხთა ბრძენი ბელადისაკენ, რომელსაც ოქტომბრის დიადი საჭით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა ახალი გამარჯვებისაკენ, კომუნიზმის ზეიმისაკენ.

როინელმა წყალი მოსვა და დასძინა: — ეს მინდოდა შესწორების სახით დამემატებინა ჩემს მოხსენებაში ფიგურალურად ნახმარ სიტყვა „არსებითი შესწორებებისათვის“.

— გმადლობთ, თქვენს მოხსენებაში არსებითი სწორედ ეგ არის,—ისმოდა ტაშის გრიალში.

მანვილაკი

გ ა ს წ ო რ ე ბ ა

„ნიანგის“ № 20 მე-4-5 გვერდზე მოთავსებულ „სპორტის ქრონიკაში“ მე-9 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: კალათბურთის გასული წლის საკავშირო ჩემპიონმა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა მოუგო თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდს. ამ წაგების შედეგად, „დინამოელებმა“ დაკარგეს ჩემპიონად გახდომის შესაძლებლობა და გამოვიდნენ მეორე ადგილზე. ამაზე იტყვიან: შმა ამისთვის, ამ დღისთვისო.



1. თევზს იჭერდა ძია სემუელი, ოფის ღვრიდა.



2. მწარზე იმდენი თევზი დაუხვდა, რომ მისი ნანადირევით
არ გასაღდა.



3. ეკონომიური კრიზისის მოსპობის მიზნით, ძია სემმა ზღვა-
ში გადაყარა თევზები.



4. ოცდაათი წელია ასე ირჯება ძია სემი, მაგრამ მაინც ვერ
დაამტკიცა კაპიტალისტური სისტემის ეკონომიკის „უპირატესო-
ბა“ — საბჭოთა ეკონომიკასთან შედარებით და... კვლავ თევზს
იჭერს.